



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia
Web address: www.senaki-sakrebulo.gov.ge

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com

№25

29 დეკემბერი 2022 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნარჩენების მართვის კოდექსი“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა დანართი №1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქუჩა №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

საბა ოდიშარია



სენაკის მუნიციპალიტეტის მარია
WWW.SENAKI.GOV.GE

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

„სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა“ მომზადებულია საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“, „საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილების საფუძველზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 22.12.2022 წლის №40-2235610 ბრძანებით დამტკიცებული „სენაკის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისა და მისი ეფექტიანად განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი“-ის მიერ. სამუშაო ჯგუფი გეგმის მომზადების პროცესში ხელმძღვანელობდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრების მიერ გამოცემული სახელმძღვანელოსა და გერმანიის თანამშრომლობის მიერ პროექტის ფარგლებში შემუშავებული მეთოლოგიით.

გეგმის სარჩევი

ნაწილი პირველი

დაგეგმვის საფუძველი, გეგმის მიზანი, გეგმის შემუშავების პროცესი

სხვადასხვა ალტერნატივების მიმოხილვა

გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაცია

გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები

მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები

გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები

დაგეგმვის პროცესის აღწერა

მეორე ნაწილი - მუნიციპალური წარჩენების მართვა, არსებული მდგომარეობა

წარჩენების პროგნოზირება

წარჩენების შემადგენლობის ანალიზი

მესამე ნაწილი - არსებული მუნიციპალური წარჩენების სისტემის მიმოხილვა-

არსებული სატრანსპორტო საშალებების ინვენტარიზაცია

არსებული მუნიციპალური მომსახურების აღწერა

ნაწილი მეოთხე - შეგროვება და ტრანსპორტირების მომსახურება

ტრანსპორტის მომსახურება და საოპერაციო პროცესები

შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალი

ქუჩების დასუფთავება

აღდგენის პროცესები

მეხუთე ნაწილი - საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო

ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება

არსებული ტარიფები

ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესი

წარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი

აღდგენის პროცესები

საზოგადოების განათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა

მეექვსე ნაწილი - წარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი

შეგროვება და ტრანსპორტირება

ნარჩენების განთავსება

სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება

ინფრასტრუქტურა და ტექნიკის საჭიროებები

მეშვიდე ნაწილი - ინსტიტუციური შესაძლებლობების განსაზღვრა

საზოგადოებრივი განათლების პროგრამა

შედეგებისა და რეკომენდაციების მიმოხილვა

გამოყენებული აკრონიმები და აბრევიატურები

გბრდს - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

რგის - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

მნმკ - შ.პ.ს. „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

ნმეს - ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია;

ნმესგ - ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა;

მგვ - მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება;

გეს - გარემოს ეროვნული სააგენტო;

WMTR - ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონში;

LFA - „ლოგიკური ჩარჩო - მიდგომა“ (Logical Framework Approach).

ტერმინთა განმარტება

ნარჩენი - ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს;

საყოფაცხოვრებო ნარჩენები - საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქნილი ნარჩენები;

მუნიციპალური ნარჩენები - საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებითა და შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია;

ინერტული ნარჩენები - ნარჩენები, რომლებიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს - არ იხრწნება, არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას;

ბიოდეგრადირებადი ნარჩენები - ნარჩენების, რომლებიც ექვემდებარება ანაერობულ ან აერობულ დაშლას, მათ შორის, სურსათის/ცხოველის საკვების ნარჩენები, ბადის/პარკის ნარჩენები, ქაღალდი, მუყაო;

სახიფათო ნარჩენები - ნარჩენები, რომლებიც სახიფათო ან პოტენციურად მავნე ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან გარემოსათვის (საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ III დანართით გათვალისწინებული ერთი ან მეტი მახასიათებელი);

სამედიცინო ნარჩენები - სამედიცინო დაწესებულების, სამედიცინო ლაბორატორიების, სამედიცინო კვლევითი ცენტრების, მზრუნველობის დაწესებულებების, ვეტერინარული კლინიკების, ფარმაცევტული საწარმოებისა და საწყობების მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;

ცხოველური ნარჩენები - ცხოველის სხეული ან მისი სხეულის ნაწილი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტი ან ცხოველისაგან მიღებული სხვა პროდუქტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისათვის;

პრევენცია-ნივთიერების, მასალის ან პროდუქტის ნარჩენად გადაქცევამდე მიღებული ზომები, რაც ამცირებს:

ა) ნარჩენების რაოდენობას (მაგალითად, პროდუქტის ხელახალი გამოყენების გზით ან პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გაგრძელების გზით);

ბ) წარმოქმნილი ნარჩენების უარყოფით გავლენას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე;

გ) მასალებსა და პროდუქტში მავნე ნივთიერებების შემცველობას.

ხელახალი გამოყენება - პროდუქტის ან/და მისი კომპონენტების ხელახლა გამოყენება ნარჩენად გადაქცევამდე, მათი თავდაპირველი დანიშნულებით.

აღდგენა - საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია ნარჩენების გამოყენება სასარგებლო მიზნებისათვის, იმ მასალების ჩანაცვლების გზით, რომლებიც სხვა პირობებში რაიმე ფუნქციის შესასრულებლად იქნებოდა გამოყენებული. აღდგენა მოიცავს ენერჯის აღდგენას და რეციკლირებას (აღდგენის ოპერაციების სია მოცემულია საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ პირველ დანართში).

რეციკლირება - აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენები გარდაიქმნება პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად, რომლებიც განკუთვნილია თავდაპირველი ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერჯის აღდგენას და ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც გამოიყენება საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის.

რეციკლირებადი მასალები - გავრცელებული რეციკლირებადი მასალებია მინა, ქაღალდი, მუყაო, მეტალი, პლასტიკი, ქსოვილი, საკვების ნარჩენები, ბალის ნარჩენები და ელექტრონული მოწყობილობები.

ნარჩენების შეგროვება - ნარჩენების შეგროვება, რაც ასევე მოიცავს მათ წინასწარ დახარისხებას და წინასწარ დასაწყობებას ნარჩენების დამუშავების ობიექტზე გადატანის მიზნით.

სეპარირებული შეგროვება - ნარჩენების შეგროვება, რომლის დროსაც ნარჩენების ნაკადები განცალკევებულია სახეობების და თვისებების მიხედვით, მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობის მიზნით.

ნარჩენების ტრანსპორტირება - ნარჩენების გადატანა ნარჩენების შენახვის ან/და დამუშავების ობიექტზე;

დანაგვიანება - ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება და/ან მიტოვება, გარდა ამ მიზნისთვის გამოყოფილი კონტეინერებისა და შეგროვების ობიექტებისა.

შეგროვების სისტემა - ნარჩენების შეგროვების სისტემის სხვადასხვა მახასიათებლები, მათ შორის კონტეინერების ტიპი და განლაგება, ნარჩენების შემგროვებელი ტიპი და მარშრუტები, შემგროვებელი ტექნიკის შეკეთება და პრევენციის ღონისძიებები, ასევე შეგროვების სისტემასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა;

საერთო სარგებლობის კონტეინერები - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი კონტეინერები, რომლებიც განლაგებულია ქუჩებში მოსახლეობის საერთო სარგებლობისათვის ან/და რამდენიმე ოჯახის საერთო სარგებლობისათვის;

მომსახურების დაფარვის ზონა - ნარჩენების შეგროვების მომსახურების მიწოდების ზონის გეოგრაფიული არეალი, ასევე ნარჩენების შეგროვების მომსახურების მიმღები მოსახლეობის ნაწილი (გამოსახული მთლიანი მოსახლეობის პროცენტული წილიდან);

ქუჩების დასუფთავების ნარჩენი - ქუჩისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაგვისა და დასუფთავების, ასევე მუნიციპალიტეტის საწრეტი არხების დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები.

ნაწილი პირველი

შესავალი

საქართველოში მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გამოწვევაა. მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტურობის ზრდა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასთან, უზრუნველყოფდეს გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულებას და განაპირობებდეს სექტორის შემოსავლიანობის ზრდას.

საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებაა - „ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“.

ნარჩენების მართვის საკითხი, დღეისათვის, წარმოადგენს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემას მსოფლიოში. ჰაერში, ნიადაგში, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებში ემისიების გზით, ნარჩენებს შეუძლია დიდი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს როგორც გარემოზე, ისე ადამიანის ჯანმრთელობაზე.

საკითხის აქტუალობისა და პრიორიტეტულობის დამადასტურებელია ის გარემოებაც, რომ ნარჩენების მართვა ქვეყნის მდგრადი განვითარების საკითხს ეხება და იგი შეტანილია „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგიაში“ და „საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიასა და საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმაში“. ასევე, 2014 წელს „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ“ გაფორმებული შეთანხმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტია.

1.1. დაგეგმვის საფუძველი

„სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა“ (შემდგომში „გეგმა“) არის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის განხორციელების ძირითად საქმიანობებს, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალური ნარჩენების მართვის ვალდებულებების შესრულება.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, სენაკის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხარჯთეფექტიანი სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და ხელახალი გამოყენების ზრდას, გარემოსათვის უსაფრთხო გზით ნარჩენების დამუშავებას, ისე რომ საფრთხე არ შეექმნას ადამიანის ჯანმრთელობას. გარდა ამისა, სუფთა საცხოვრებელი და დასასვენებელი გარემო ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას.

„გეგმა“ შემუშავებულია სენაკის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის საფუძველზე, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“, საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის (თავი 3.2), 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომლის მიზანია მუნიციპალური ნარჩენების მართვის განვითარების პროცესის ჰარმონიზება ნარჩენების მართვის ეროვნულ პოლიტიკასთან.

„გეგმა“ მოიცავს 2023-2027 წლებს და იგი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც შესაძლებელია დაექვემდებაროს კორექტირებას. „გეგმისთვის“ შერჩეული იქნა საქართველოს მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრების მიერ შემუშავებული „ნარჩენების მართვის გეგმის შედგენის სახელმძღვანელო“- დოკუმენტით რეკომენდირებული გეგმის ჩარჩო, რომლის სტრუქტურას წარმოადგენს:

1. მიზნების შესაბამისი ამოცანების იდენტიფიცირება;
2. პრობლემების აღწერა;
3. ამოცანების შესასრულებლად ღონისძიებების განსაზღვრა;
4. მისაღწევი შედეგების განსაზღვრა;
5. შედეგების მიღწევის ინდიკატორების განსაზღვრა;
6. ღონისძიებების განხორციელების ვადის განსაზღვრა;
7. ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის განსაზღვრა;
8. პარტნიორი ორგანიზაციის იდენტიფიცირება;
9. ღონისძიების საპროგნოზო ბიუჯეტის განსაზღვრა;
10. დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება.

„გეგმაში“ ამოცანების შესაბამისად გათვალისწინებულია ღონისძიებები. კონკრეტული ღონისძიებების გასწვრივ წარმოდგენილია პასუხისმგებელი სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელია ღონისძიების განხორციელებაზე. თუ რომელიმე ღონისძიების შესრულება ვერ მოხდა, გეგმის შესრულების ანგარიშგების დროს წარმოდგენილი უნდა იქნას ამის გამომწვევი არგუმენტირებული მიზეზი.

1.2. გეგმის მიზანი

„გეგმა“ ორიენტირებულია, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ნარჩენების მართვის ეროვნული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობაზე, ნარჩენების მართვის ეროვნულ ინტეგრირებულ სისტემაში მუნიციპალიტეტის როლის ოპტიმიზაციაზე. საქართველოს „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიით“ (თავი 3.2) განსაზღვრულია სახელმწიფოს ხედვა - „საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა“- რისი მიღწევაც შესაძლებელია შემდეგი ქმედებების განხორციელებით, ესენია:

- ნარჩენების პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენის ღონისძიებების გატარება;
- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფა;
- ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების დანერგვა;
- ხარჯების სრული ამოღების დანერგვა;
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვის ხელშეწყობა;
- სპეციფიკური ნარჩენების ნაკადებზე საჯარო-კერძო პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა;
- განსაზღვრული მიზნების მისაღწევად წამახალისებელი მექანიზმების დანერგვა.

ნმეს-ით განსაზღვრული გამოწვევები და მისაღწევი მიზნები, მათი მნიშვნელობის მეტი თვალსაჩინოებისათვის, დაჯგუფებულია ცხრა მიმართულებად:

1. კანონმდებლობა;
2. ნარჩენების მართვის დაგეგმვა;
3. ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება;
4. ნაგავსაყრელები;
5. პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენა;
6. ხარჯების ამოღება;
7. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება;
8. მონაცემები ნარჩენების შესახებ;
9. მართვის შესაძლებლობები.

ზემოაღნიშნული მიმართულებების შესაბამისად, „გეგმით“ განაზღვრული ძირითადი მიზნების მისაღწევად, წარმოდგენილია შესაბამისი ამოცანები და ღონისძიებები, რომელთა განხორციელების შედეგად მიღწეული უნდა იქნას მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხარჯთეფექტიანი და მდგრადი სისტემის შექმნა.

1.3. გეგმის შემუშავების პროცესი

ახალი 2023-2027 წლების „გეგმის“ შემუშავების პროცესში, გამოყენებული იყო სენაკის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალიტეტის მართვის გეგმა და „ლოგიკური ჩარჩო - მიდგომა“ LFA (Logical Framework Approach), რომელიც ითვალისწინებს არსებული სიტუაციის შეფასებას და გამოწვევების იდენტიფიცირებას. ასევე, შესაბამისი მიზნებისა და პრობლემის გადაჭრის გზების განსაზღვრას, გერმანიის თანამშრომლობის მიერ სამეგრელოს რეგიონში მიმდინარე პროექტის ფარგლებში შემუშავებული მეთოლოგიების გამოყენებით.

თითოეული დასახული მიზნისათვის „გეგმაში“ გაწერილია ამოცანები (შესრულების ვადების მითითებით). თითოეული ამოცანის მისაღწევად საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც სამოქმედო გეგმის ძირითადი ნაწილია.

„გეგმის“ შემუშავების მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის მერის №0-402235610 (22.12.2022 წელი) ბრძანებით მუნიციპალური ნარჩენების მართვის „გეგმის“ მომზადების მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა განიცადა ცვლილებები (შემდგომში „სამუშაო ჯგუფი“) და მისი შემადგენლობა განისაზღვრა ცხრა წევრით:

1. ნანა ზარანდია - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ჯგუფის ხელმძღვანელი;
2. დონარა ალანია - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
3. ედიკა ბერაია - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
4. ბადრი მამულია- ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის“ დირექტორი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

5. სოსო მორგოშია - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
6. დალი ქაჩიბაია - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
7. ირაკლი საჯაია - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;
8. ბესიკ თოფურია - ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის“ დასუფთავების განყოფილების უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
9. ია თხილაიშვილი - ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის“ მთავარი ბუღალტერი, სამუშაო ჯგუფის წევრი.

(იხ. დანართი №1 – „ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“).

„ჯგუფის“ პირველ შეხვედრაზე განხილული იქნა გასული 5 წლის განმავლობაში მიღებული შედეგები, ინფორმაციის შეგროვების, კვლევისა და ანალიზის შედეგად მიღებული და დამუშავებული მონაცემები. პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის შეგროვდა მოსახლეობის მხრიდან წამოსული ინფორმაციები ნარჩენების მართვის საკითხებზე, რის შემდეგაც შედგენილი იქნა „სამუშაო ჯგუფის“ დეტალური სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვით ჯგუფის წევრები შეუდგნენ ინფორმაციის გადამოწმებას ადგილებზე, მოსახლეობასთან შეხვედრებს და გეგმის შემუშავებას შეხვედრებზე წამოჭრილი საკითხების გათვალისწინებით (იხ. დანართი სამუშაო ჯგუფის დეტალური სამუშაო გეგმა თან ერთვის).

1.4. არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

სენაკის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის სერვისი 75%-ით ფარავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიას. მომსახურების სერვისის მიწოდება ხდება 15 ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, მათ შორის საკურორტო და ტურისტული დანიშნულების (ნოქალაქევი, მენჯი, ლემამამე, ზემო ჭალადიდი) ტერიტორიებზე სრულად. მომსახურების სერვისი არ მიეწოდება მხოლოდ ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულს.

სენაკის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო 2007 წელს, ხოლო სერვისის დაფარვის არეალის გაფართოების განხორციელება დაიწყო 2010 წლიდან და გრძელდება დღესაც. კონკრეტულად:

- მუნიციპალიტეტმა 2010 წელს მიიღო 1 ნაგავმზიდი მანქანა და 70 ლითონის ურნა.
- მუნიციპალიტეტმა 2015-2016 წლებში შეიძინა და ფონდების მეშვეობით მიიღო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 2 ნაგავმზიდი მანქანა;
- 2021 წელს გადმოგვეცა 20 მ³ ნაგავმზიდი (გამოშვების წელი 2021 წელი);
- 2022 წელს გადმოგვეცა 2 ერთეული სპეცნაგავმზიდი მანქანა;

- სამშენებლო ნარჩენების გატანას ემსახურება ასევე სატვირთო გაზ-52 ძარიანი მანქანა, 5 მ³ ტევადობის;
- შექმნილია და ფონდების მეშვეობით მიღებულია:
 - თანამედროვე სტანდარტების ნაგავშემკრები კონტეინერები. 110 ლიტრიანი -888 ერთეული;
 - დეკორატიული ურნა 50 ლიტრიანი-49 ერთეული;
 - მუშებისთვის : ურნა- 240 ლიტრიანი 50 ერთეული; ურნა-120 ლიტრიანი 50 ერთეული; ურიკა 50 ერთეული; უნიფორმა.

რაც შეეხება ნარჩენების განთავსების პოლიგონებს, ამ მიმართულებითაც განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

2010 წლიდან დასუფთავდა და მთლიანად მოისპო სტიქიური ნაგავსაყრელები ქალაქის უბნებში. მომსახურების სერვისს დაემატა ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ არის ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილები ე.წ. „სტიქიური ნაგავსაყრელები“, თუ არ ჩავთვლით გამდინარე მიუვალ ღელებში ნარჩენების არსებობას. გასული წლების მონაცემებით ნარჩენებისგან გასუფთავდა ქუთაისის ქუჩაზე მდებარე ხევი. დაგეგმილია ჩხეტას მეორე ჩიხის ბოლოს არსებული ხევის გაწმენდა.

რაც შეეხება სხვა სახის ნარჩენებს, როგორცაა სამედიცინო, ცხოველური, ბიოდეგრადირებადი, სამშენებლო ნარჩენები და სხვა, მდგომარეობა შემდეგშია: სენაკის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო დაწესებულებებიდან, სტომატოლოგიური კაბინეტებიდან და სილამაზის სალონებიდან „ბ“ და „გ“ ჯგუფის სამედიცინო ნარჩენის გატანას უზრუნველყოფს შპს „ეკომედი“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე . სამშენებლო ნარჩენების განსათავსებლად გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამის უწყებასთან შეთანხმებით ნებადართულია მდ. ტეხურის მარცხენა სანაპიროზე სოფ. მეორე ნოსირში წარმოქმნილი 4-5 მ-ის ღრმულის ამოვსება, რითაც მოხდება ნაპირსამაგრი დამბის გამყარებაც და გაუმჯობესდება არსებული გეოდინამიკური სიტუაცია. რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, საქსოფლქიმის ბაზაზე არსებულ საწყობებში მოთავსებული შხამქიმიკატების ნაშთები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ ფიქსირდება, ავტოტრანსპორტის მიერ გამოუყენებელი ზეთებისა და სხვა საშიში ნარჩენების მართვას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მსხვილი სამშენებლო საწარმოები ახორციელებენ ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, ხოლო მცირე მეწარმეების ამ მიმართულებით საქმიანობის შესახებ ინფორმაცია შესაგროვებელია. დასაზუსტებელია სხვა ნარჩენებზე ზუსტი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი დიდგაბარიტიანი ნარჩენების შესახებ. ამ ინფორმაციებიდან გამომდინარე საჭიროა მუნიციპალიტეტმა მოახდინოს მონაცემთა ბაზის შექმნა, სადაც აღრიცხული იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა სახეობების მიხედვით, რაც ნარჩენების მართვის ეფექტიანობას შეუწყობს ხელს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია სპეცტექნიკისთვის ერთიანი სივრცის არ არსებობა, სადაც შესაძლებელი იქნება ტექნიკის განთავსება და მოვლა-შენახვისათვის პირობების შექმნა. ამ სივრცის მოწყობისათვის საჭირო ტერიტორია მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შერჩეულია, დასამუშავებელია მშენებლობის საპროექტო-

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. თუმცა, მუნიციპალიტეტის ფინანსური რესურსების სიმწირის გამო, საკუთარი შემოსავლებიდან ამ პროექტის დაფინანსება ვერ ხორციელდება. მიმდინარეობს დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიების სამუშაოები. ამჟამად ტექნიკა განთავსებულია იჯარით აღებულ ტერიტორიაზე.

1.5. სხვადასხვა ალტერნატივების მიმოხილვა

მუნიციპალური ნარჩენების მართვის სწორი დაგეგმვისათვის მიზანშეწონილია მოქმედი სისტემისგან განსხვავებული - ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, რათა საბოლოო ჯამში განხორცილებული საქმიანობის შედეგად უზრუნველყოფილი იყოს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა.

მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვების დამკვიდრებული მიდგომა არის საერთო სარგებლობის კონტეინერების მეშვეობით ნარჩენების შეგროვება - კოლექტიური შეგროვება, შეგროვება ტროტუარებიდან/გზის პირებიდან, უბან-უბან შეგროვება. სხვა ალტერნატივები, მაგ, კარდაკარ შეგროვება ან ზარის პრინციპი - სენაკის მუნიციპალიტეტში არ გამოიყენება. თუმცა განიხილება ზარის პრინციპის შემოღება ქალაქის მაღალ ზონებში დასახლებული მოსახლეობის მომსახურებისთვის, სადაც დიდგაბარტიანი მანქანების მისვლა შეუძლებელია (ჩხეტას, თაყაიშვილის, თბილისის ქუჩები). ნარჩენების ტრანსპორტირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია განთავსების ობიექტის ადგილმდებარეობა და შეგროვების პუნქტებიდან განთავსების ადგილამდე მანძილი.

დღეისთვის არსებული სისტემის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემული სუბსიდია. ტექნიკის შეძენაში კი გვეხმარებიან დონორები.

პრინციპის „დამბინძურებელი იხდის“ უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა ნარჩენების წარმომქმნელებმა გადახდილი მოსაკრებლის მეშვეობით უზრუნველყონ გაწეული ხარჯების ნაწილობრივი ან სრული დაფინანსება, რისთვისაც მიზანშეწონილია ამუშავდეს მოსახლეობისთვის, ხოლო კერძო სექტორისთვის განმტკიცდეს დასუფთავების მოსაკრებლის ხარჯების ამოღების სისტემის მოდელი მიღებული ტარიფის მიხედვით.

ნარჩენების შეგროვების სისტემის დაფინანსების წყარო, გარდა დასუფთავების მოსაკრებლისა, შეიძლება გახდეს კანონდამრღვევების მიერ გარემოს დანაგვიანებისათვის გადახდილი ჯარიმები და საურავები. ასევე, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხები და გრანტები.

აუცილებელია დღეს არსებული ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერება, რისი მიღწევაც შესაძლებელია, როგორც სტრუქტურული გაძლიერებით, ისე უფლებამოსილებების გაზრდით ნარჩენების მართვის სფეროში.

1.6. გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაციები

„გეგმა“ მოიცავს იმ ძირითად საქმიანობებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში.

„გეგმის“ შესრულებაზე ანგარიშვალდებულ ორგანიზაციას წარმოადგენს ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრი“.

1.7. მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები

ა. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში, რომლის ტერიტორიის ფართი შეადგენს - 520,72 კმ², ანუ 52121 ათას ჰა-ს. სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება აბაშის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-აღმოსავლეთით - მარტვილის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, დასავლეთით - ხობის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 300 კმ. ტერიტორიის ნახევარზე ნაკლები სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს 22 663 ჰა. მათ შორის სახნავია - 10711275,2 ჰა, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობი - 4494 ჰა, სათიბი - 9 ჰა, საძოვარი - 66897 ჰა და ტბორები - 265 ჰა.

დემოგრაფიული ინფორმაცია

მოსახლეობის რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით 1/01-2023 წ. მდგომარეობით

N	ადმინისტრაციული ერთეული	დასახელება	მოსახლეობა, სული
1	2	3	4
1	ქ. სენაკი		25717
2	ახალსოფელი	ახალსოფელი	1061
		ისულა	663
3	ეკი	ეკი	129
		შრომისკარი	324
		საადამიო	145
		საგუნო	5

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური წარჩენების მართვის გეგმა

		საცხვიტაო	197
4	ზანა	ზანა	346
		ეწერი	266
		სატყებუჩაო	310
		საესებუო	185
		საშურდაიო	250
5	ზემო ჭალადიდი	მუხური	433
		სირიაჩქონი	30
		საგვიჩიო	7
6	თეკლათი	თეკლათი	677
		რეკა	159
		ტყირი	320
		საგვარამიო	568
		გოლასკური	477
7	ლემდამე	ლემდამე	193
		ლესაჯაიე	242
		კვაუთი	79
		ჯოლევი	189
		ლეგოგიე	104
		ბეთლემი	288
8	მენჯი	საგაბესკირიო	20
		საწულესკირო	146
		პერტული	51

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური წარჩენების მართვის გეგმა

		სახარბედიო	354
		ბათარია	636
		სკურია	82
9	ნოსირი	ნოსირი	516
		შუა ნოსირი	549
		საოდიშარიო	621
		საკილასონიო	330
		საბესელიო	351
10	ნოქალაქევი	ზ/ნოქალაქევი	24
		ჯიხა	290
		ლებღათურიე	265
		გახომილა	556
		ძიგიდერი	147
11	უშაფათი	უშაფათი	270
		ლეგოგინე	345
		ლეკოკაიე	199
12	ფოცხო	ფოცხო	1103
		ლეგოგინე-ნასაჯუ	487
		მოხაში	232
		მეორე მოხაში	269
13	ძველი სენაკი	ძველი სენაკი	1476

		კოტიანეთი	516
		ზ/სორტა	190
		ქ/სორტა	311
		საჩიქობავო	60
14	მეორე ნოსირი	მეორე ნოსირი	764
15	ხორში	პატარა ზანა	193
		დიდი ხორში	277
		საგუგუნაო	93
		შუა ხორში	451
		ციზეთი	235
		საადანაიო	22
16	გეჯეთი	გეჯეთი	1059

ბ. მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების ნუსხა და მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრამდე

თვითმმართველი თემი - სენაკის მუნიციპალიტეტი შედგება 16 ადმინისტრაციული ერთეულისაგან:

№	ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	დამორება ქალაქ სენაკთან (კმ)
1	ნოსირი	9
		7
		7

		5
		5
2	ახალსოფელი	4
		10
3	თეკლათი	7
		13
		12
		21
		15
4	ზემო ჭალადიდი	25
		25
		16
5	მენჯი	7
		7
		9
		9
		9
		8
6	ხორში	18
		18
		24
		15
		12
		24
7	ეკი	13
		12
		15
		14
		18
8	გეჯეთი	19
9	ზანა	20
		18
		19
		19
		20
10	უშაფათი	28
		25
		32
11	ფოცხო	35
		28

		30
		32
12	ლესბაძამე	18
		24
		25
		26
		23
		27
13	ნოქალაქევი	16
		18
		20
		21
		20
14	ძველი სენაკი	9
		14
		13
		11
		12
15	მეორე ნოსირი	11

გ. დემოგრაფიული მონაცემები

სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 51 800 სულს, მათ შორის ურბანულ ტერიტორიაზე - 26921 სულს, ხოლო არაურბანულ ტერიტორიაზე - 24879 სულს.

დ. სეზონური ცვლილებები

სენაკის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე არის ორი ტურისტული ზონა - ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსი და ბეთლემის თოკების პარკი, სადაც ტურისტების შემოდინება ხდება როგორც მარტვილიდან, ასევე ქალაქის ცენტრიდან. ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის რაოდენობის სეზონური მატება და ტურისტების ნაკადის ზრდა ხდება ძირითად ზაფხულის პერიოდში. წინა წლებთან შედარებით წლის განმავლობაში საშუალოდ 15 000 ტურისტი სტუმრობს სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოქალაქევის არქეოლოგიურ კომპლექსს და მდ. ტეხურის ნაპირზე განთავსებულ ზიპლაინს და თოკების პარკს. ახალგაზრდების და აგრო და ეკო ტურიზმის მიმდევრებისთვის ინტერესის საგანს წარმოადგენს ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელი სირიაჩქონი, კოლხეთის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიები, რაც თანდათანობით ერთვება ტურისტული ზონის რიგებში.

გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას *ნმეს*-ით დეკლარირებული კურსი - „საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა“, განისაზღვრა ცხრა ძირითადი მისაღწევი მიზანი და მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი

შესაბამისი ამოცანები. აღნიშნულიდან გამომდინარე, *ნმეს*-ით და *ნმესგ*-ით მუნიციპალიტეტებისათვის განისაზღვრა ვალდებულებები შესაბამისი ვადების მითითებით:

მიზანი N1- ევროკავშირის მოთხოვნებისა და საერთაშორისო კონვენციების შესაბამისი ნარჩენების მართვის კანონმდებლობის შემუშავება, განხორციელება და აღსრულება.

ამოცანა 1.1. ნარჩენების მართვის კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება 2027 წლისათვის.

მიზანი N2 - ნარჩენების მართვის დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე.

ამოცანა 2.1. მუნიციპალური ნარჩენების მართვის პირველი ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე ახალი 2023-2027 წლების გეგმის შემუშავება და დამტკიცება 2022 წლისათვის.

მიზანი N3 - ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა.

ამოცანა 3.1. ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ოპერატორების მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება 2023 წლისათვის;

ამოცანა 3.2. ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა:

	2023 წლისათვის	2024 წლისათვის	2025 წლისათვის
მუნიციპალური ნარჩენები	90%	100%	100%

მიზანი N4 - ნარჩენების ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხო განთავსების უზრუნველყოფა.

ამოცანა 4.1. ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირება 2024 წლისათვის.

მიზანი N5 - ნარჩენების პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება ან/და აღდგენა.

ამოცანა 5.1. ქაღალდის, მინის, რეზინის და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2024 წლისათვის;

გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა, რომ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ი/მ „ირაკლი ტყეზურავა“, რომელიც ახდენს სხვადასხვა სასმელის შესაფუთი პოლიეთილენის სეპარირებას და რეციკლირებას.

მიზანი N6 - ნარჩენების მართვის ხარჯების სრული ამოღება „დამზინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად.

ამოცანა 6.1. მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2023 წლისათვის.

ამოცანა 6.2. კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის განმტკიცება 2023 წლისთვის.

მიზანი N7 - მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ხელშეწყობა და დანერგვა.

ამოცანა 7.1. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა და შესაძლებლობათა ფარგლებში, მგვ-ის განხორციელების ხელშეწყობა.

მიზანი N8 - ნარჩენების შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის მართვის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა.

ამოცანა 8.1. მუნიციპალური ნარჩენების შესახებ მონაცემების შეგროვება, დამუშავება და კანონმდებლობის შესაბამისად სისტემის ადმინისტრატორისათვის მიწოდება.

მიზანი N9 - საჯარო სექტორის შესაძლებლობათა გაძლიერება ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე; ასევე, კერძო კომპანიების შესაძლებლობათა გაძლიერების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ამოცანა 9.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხზე 2023 წლიდან სისტემატიურად.

ნაწილი მეორე - ნარჩენების მართვა, არსებული მდგომარეობა

2.1 სენაკის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ნარჩენების განთავსება ხდება მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ დაფუძნებულ ზუგდიდის ნაგავსაყრელზე, რომელიც სენაკის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულია 35 კმ-ით.

2021 წლის მდგომარეობით ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენის რაოდენობაა - 0,45, შეგროვებული მყარი ნარჩენის საერთო რაოდენობა დღეში - 35 მ³, თვეში - 200 ტ, წელიწადში - 6012 ტ.;

გამოყენებული ნარჩენების შეგროვება და გატანა - კონტეინერული სისტემა - 100%;

კონტეინერების რაოდენობა - 650 ც.;

კონტეინერის მოცულობა - 1.1 მ³;

კონტეინერის დაცლის სიხშირე - ქალაქის ცენტრალურ უბნებში - დღეში ორჯერ, დილა-საღამოს. განაპირა უბნებში დღეში 1- ჯერ, სოფლებში 2 დღეში ერთხელ;

ნაგავმზიდი ტრანსპორტის საერთო რაოდენობა -5 ერთეული:

მ.შ. კომპაქტორი ნაგავმზიდი - 2 ც. მოცულობა - 14 მ³ და 21 მ³

თვითმცლელი ნაგავმზიდი - 1 ც. მოცულობა - 5 მ³.

ნაგავმზიდის მიერ დღეში შესრულებული რეისების რაოდენობა - 3 გზა, 240 კმ.

მყარი ნარჩენების შეგროვება და შეგროვებული და ტრანსპორტირებული ნარჩენების მოცულობის დადგენა ხორციელდება ნაგავსაყრელ პოლიგონზე შესვლის დროს, დამონტაჟებულ საავტომობილო სასწორზე აწონვების განხორციელების მეშვეობით. თუმცა, ამის გარდა აუცილებელია ნარჩენების შემადგენლობის, ძირითადი წარმოშობის ადგილების და დროის დასადგენად განხორციელდეს მუდმივი დაკვირვება.

მუნიციპალიტეტს გააჩნია ინფორმაცია წლების განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ, რაც გვამლევს ნარჩენების წარმოქმნის შესახებ სურათს დინამიკაში. 2022 წლის მონაცემების მიხედვით სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვდა 2019 წელს - 6025 ტონა, 2020 წელს - 6045 ტონა, 2021 წელს - 6012 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

2.2. ნარჩენების პროგნოზირება

სენაკის მუნიციპალიტეტში 2023 წელს მომსახურების დაფარვის არეალის ზრდა პროგნოზირებულია სრულად, ხოლო ტურისტების ნაკადის ზრდა 5%-ით, რამაც ჯამში მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა შეადგენს 14,500 მ³ ყოველდღიურად. 2023-2027 წლებში მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნა პროგნოზირებულია შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

1. **წმესგ**-ით და „სამოქმედო გეგმით“ დასახული ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა 2023 წლისათვის;
2. ნარჩენების შეგროვების მომსახურების სრული დაფარვა 2023 წლისათვის;
3. ნოქალაქევის და ბეთლემის ტერიტორიაზე ტურისტების ნაკადების მატება 2023 წლისათვის;
4. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა, არსებული მონაცემების უცვლელად ხუთი წლისათვის;
5. ერთ სულ მოსახლეზე წლის განმავლობაში ნარჩენების წარმოქმნის საშუალო სიჩქარის მაქსიმალური მაჩვენებელი - 0,7 კგ.

2.3. ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი

გამომდინარე იქიდან, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობის შესწავლა და ანალიზი აქამდე არ განხორციელებულა და ამის არც სამართლებრივი ვალდებულება არსებობდა 2015 წლამდე, საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ დროის სხვადასხვა პერიოდში, პოლიგონზე მიწოდებული

ნარჩენების შემადგენლობის შესწავლის მიზნით დაკვირვებისას (დაახლოებით 30 ტონა შეგროვებული ნარჩენი) გამოიკვეთა შემდეგი გარემოება:

დასახელება	მთლიანი ტონა	მოცულობა	წილობრივი შემადგენლობა %	წილობრივი შემადგენლობა ტონა
ორგანული მასები	30		50%	15
ქაღალდი	30		5%	1,5
მუყაო	30		15%	4,5
პლასტიკი	30		10%	4,0
მინა	30		15%	4,5
ლითონი	30		0%	0

ნაწილი მესამე- არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ შესაბამისად, მუნიციპალური ნარჩენების მართვა (შეგროვება, ტრანსპორტირება, დაგვა-დასუფთავება და ა.შ.) მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალური ნარჩენების მართვის მომსახურებას ახორციელებს სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“. აღნიშნული ცენტრი მომსახურებას უწევს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობას და კომპანიებს/საწარმოებს. დასუფთავების სერვისი სრულად მიეწოდება ქალაქის მოსახლეობის 80%-ს, გამოწვევისა და ისეთი ქუჩები, რომელიც ხასიათდება სივიწროვით და მოუხერხებელია ნაგავზიდვის შესვლა (ასეთია ჩხეტას ჩიხი, რუსთაველის ჩიხი, კალანდაძის, თაყაიშვილის ქუჩები). მომსახურება მიეწოდება 15 ადმინისტრაციულ ერთეულს, არ მიეწოდება მხოლოდ ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულს. მომსახურების სერვისის მიწოდება დაგეგმილია 2023 წლიდან.

მუნიციპალიტეტში არსებული იურიდიული პირებისათვის ნარჩენების გატანის მომსახურების მიწოდება ხდება მათთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ცენტრი შეგროვების მომსახურებას უწევს მუნიციპალიტეტში არსებული კომერციული და სხვა დანიშნულების ობიექტებს. მათ შორის აგრარულ სექტორსაც (დანართი №2. იურიდიული პირების სია და გადასახადები). რაც შეეხება საამშენებლო ნარჩენებს, მათ განსათავსებლად მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ იქნა ტერიტორია ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე.

მუნიციპალიტეტს გააჩნია ნარჩენების შეგროვების სერვისის და ნაგავზიდვის გადაადგილების მარშრუტის ამსახველი რუკები, რომელიც დატანილია google map -ზე. (დანართი №3. რუკის ინსტრუქცია)

სენაკის მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია იმ სატრანსპორტო საშუალებების შექმნასა და მოვლა-შეკეთებაზე, რომლებიც ნარჩენების შეგროვებისა და გატანის პროცესში გამოიყენება. მუნიციპალიტეტს არა აქვს საკუთარი საამქრო ამ სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შეკეთებისათვის. როგორც წესი, ამ მიზნით ხდება ტენდერების გამოცხადება და შესაბამისი კომპანი(ებ)ის აყვანა; როდესაც მცირე მასშტაბიან სარემონტო საქმიანობებზეა საუბარი, ხდება ერთჯერადი ხელშეკრულებების დადება შესაბამის კომპანიასთან.

ქვემოთ წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი, რომელიც გამოიყენება სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების პროცესში:

3.2 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების ინვენტარიზაცია

სატრანსპორტო საშუალებების დასახელება	საშუალო მოცულობა მ ³	სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მდგომარეობის მიხედვით (ქვემოთ იხილეთ შენიშვნა)			სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა წლების მიხედვით		
		ძალიან კარგი მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა	ცუდი მდგომარეობა	>10 წელი	5-10 წელი	<2 წელი
კომპაქტორები mercedes-benz	13	1			1		
კომპაქტორები mercedes-benz	7	1			1		
ტრაქტორი			1			1	
თვითმცვლელი „გაზ-53“ (ხელშეკრულებით)	3.5		1		1		
სპეც. ნაგავმზიდი	208 მ ³	1					1
სპეც. ნაგავმზიდი	13 მ ³						1
სპეც. ნაგავმზიდი	13მ ³						1

3.3. არსებული მუნიციპალური მომსახურების აღწერა

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ნარჩენების შეგროვება ხორციელდება საერთო სარგებლობის კონტეინერების მეშვეობით.

დღეისათვის, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსებულია 250 ცალი 1,1 მ³ მოცულობის კონტეინერი (იხ. დანართი № 4), საიდანაც 2 კომპაქტორი სპეც. მანქანის საშუალებით ხდება ნარჩენის შეგროვება და გატანა. ხორციელდება 351 ერთეული კონტეინერის დადგმა (იხ. დანართი №4-1). სულ მუნიციპალიტეტზე ტერიტორიაზე განთავსებულია 650 კონტეინერი. ნარჩენების გატანის არსებული გრაფიკის შედეგად კონტეინერების გადავსება არ ხდება.

ნარჩენების შეგროვება ხორციელდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნაგავმზიდი ტექნიკის მეშვეობით.

ნაწილი 4. შეგროვების და ტრანსპორტირების მომსახურება

ა. შეგროვების და ტრანსპორტირების საშუალებები და საოპერაციო პროცესები

სენაკის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის გამოიყენება კოლექტიური შეგროვების მიდგომა. კონტეინერები განთავსებულია ყველა მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში. კონტეინერების უმრავლესობა სტანდარტული სახისაა და თავსებადია ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილ ტექნიკასთან. რაც შეეხება შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის გამოყენებულ ტექნიკას - ნაგავმზიდებს გააჩნია საპრესი მოწყობილობა და უკანა ჩატვირთვის სისტემა, ისინი ტვირთტევადობის მიხედვით 13-19 მ³ მოცულობისაა.

ტროტუარებზე და სკვერებში განთავსებულია დეკორატიული ურნები, საიდანაც ნარჩენის გატანა მეუბოვეების მიერ სპეციალურად განკუთვნილი ინვენტარის დახმარებით.

ბ. შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალი

დღეისათვის „ცენტრი“-ს მიერ სერვისის მიწოდება ხდება ურბანულ ტერიტორიაზე (ქალაქში) მცხოვრები მოსახლეობის 80 %-სათვის და არაურბანულ ტერიტორიაზე მცხოვრები (სოფლებში) მოსახლეობის 60%-სათვის, რაც შეადგენს 14 სოფლის ცენტრალურ ადგილებს და შესახვევებს.

ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის, განსაკუთრებულ მაღალ ზონებში მცხოვრების მოსახლეობისათვის, სადაც მოუხერხებელია სანაგვე ურნის დადგმა გზის სივიწროვის გამო, იგეგმება ზარის პრინციპით მომსახურების დაწყება, რათა ნარჩენების შეგროვების სერვისი გახდეს ყველასთვის ხელმისაწვდომი.

გ. ქუჩების დასუფთავება

ქუჩების დასუფთავება ხდება მხოლოდ გარკვეულ პერიმეტრზე, რაც მოიცავს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში 6 ჰა ფართობს (რუსთაველის, ჭავჭავაძისა და ჭყონდიდელის ქუჩების ნაწილს). 2023 წლიდან იგეგმება დასასუფთავებელი ფართობის გაზრდა 10 ჰა-მდე. ჯამში დასუფთავდება 16 ჰა ფართობის ტერიტორია. მათ შორის სრულად რუსთაველის, ჭავჭავაძის და ჭყონდიდელის ქუჩები, ნაწილობრივ მშვიდობის ქუჩა და სამომავლოდ ქალაქის ცენტრალური ქუჩები.

დ. აღდგენა (რეციკლირება და კომპოსტირება)

არსებული ინფორმაციის თანახმად, სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ნარჩენების აღდგენის ოფიციალური პროგრამები არ ხორციელდება, თუ არ ჩავთვლით 2015 წელს გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაწყებული სეპარირების საპილოტე პროექტს, რომლის ფარგლებში ქალაქის ცენტრალურ ადგილებში დაიდგა 13 ერთეული ყუთი პოლიეთილენის ბოთლებისათვის. ამ პროექტის დადებითი მხარე ის იყო, რომ მოსახლეობა დადებითად შეხვდა ნარჩენების დახარისხებას და აუმაღლდათ ცნობიერება ნარჩენების მართვის თანამედროვე მეთოდებზე, რამაც გაზარდა მოთხოვნები მოსახლეობის მხრიდან პოლიეთილენის ბოთლებისთვის განკუთვნილი სპეციალური ურნებისადმი. თუმცა წლების განმავლობაში ყუთები გახდა ამორტიზირებული და გამოუსადეგარი. ამჟამად სენაკის მუნიციპალიტეტი ჩართულია პროექტში, რომლის ფარგლებში გერმანიის თანამშრომლობის მხრიდან იგეგმება დახმარება სეპარირებისათვის საჭირო ტექნიკის შეძენაში.

ლითონი - ამ ტიპის ნარჩენის განთავსება ნაგავსაყრელზე არ ხორციელდება. მოსახლეობა ახდენს ასეთი ნარჩენის რეალიზაციას ჯართის შემგოვებელი პუნქტების მეშვეობით. სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არაფორმალური სექტორის საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაცია შესაგროვებელია..

კომპოსტირება - ეს არის ბიოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც მიკროორგანიზმების მონაწილეობით ხდება ორგანული ნარჩენების დაშლა და გარდაქმნა ორგანულ სასუქად-კომპოსტად, რომელიც შავი, ფხვიერი მიწის სუნის მქონე ორგანულ მასას წარმოადგენს. კომპოსტირების დაწესება კარგია სოფლებში და იმ ადგილებში, სადაც პარკები და სკვერებია. ამ მიზნით ადგილობრივ გარემოსდაცვით ორგანიზაციებს დაწყებული აქვთ მოსახლეობასთან ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები. სულ მუნიციპალიტეტში წლის განმავლობაში გროვდება 40 ტონა ბიოდეგრადირებადი ნარჩენი.

ზეთი და აკუმულატორი - აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციების შეგროვება და შესაბამისად, რეაგირება ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად განხორციელდება 2024 წლიდან.

კომპიუტერული ტექნიკა, კარტრიჯები და ბატარეა - განთავსება საამისოდ განკუთვნილ ფართში, 2023 წლიდან.

ნაწილი მეხუთე- საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო.

ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობის ცენტრი“ დაფუძნდა 2007 წელს, რომელსაც რეორგანიზაციის შედეგად დამატებული ფუნქციების გამო ეწოდა „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“

ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, საქმიანობის მიზანი და ძირითადი მიმართულებები დასუფთავების კუთხით არის:

- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება;
- ✓ ნარჩენების გატანა;
- ✓ სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, დასუფთავება;

✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის უმეტესწილად დარჩენილი ცხოველების იზოლირება;

✓ სხვა საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ცენტრის საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი.

დასუფთავების განყოფილებაში საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 52 ერთეულს.

წესდების შესაბამისად, „ცენტრი“-ს საქმიანობის მიზანი და ძირითადი მიმართულებები, ნარჩენების მართვისა და დასუფთავების ნაწილში, არის:

- ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება;
- ნარჩენების გატანა;
- სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

„ცენტრს“ დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად გადაცემული აქვს შესაბამისი ქონება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახის შემოსავლები.

ყოველწლიურად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ხორცილდება „ცენტრის“ საქმიანობის ფინანსური ანგარიშგების მონიტორინგის ჩატარება. გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ორგანიზაციას ეძლევა შესაბამისი რეკომენდაციები.

„ცენტრი“ ასევე, ყოველწლიურად წარადგენს გასული წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე.

5.1 ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება

ა. არსებული პროგრამის ხარჯები

გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა, ნარჩენების მართვის სისტემის დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში.

დღეისათვის „ცენტრი“-ს მიერ სერვისის მიწოდება ხდება ურბანულ ტერიტორიაზე (ქალაქში) მცხოვრები მოსახლეობის 80%-სათვის და არაურბანულ ტერიტორიაზე მცხოვრები (სოფლებში) მოსახლეობის 50%-სათვის. შესაბამისად, მუნიციპალური ნარჩენების მართვის მომსახურება გაგრძელდება 2023 წლისათვის და ხარჯებიც შესაბამისად გაიზრდება.

ბ. არსებული ტარიფები და ხარჯების ფაქტობრივი ანაზღაურება / მოსაკრებლის ამოღებასთან დაკავშირებული გამოცდილება

საქართველოს კანონის „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ მე-12¹ მუხლის მე-2, მე-4, მე-5, მე-5¹, მე-6 პუნქტების შესაბამისად:

- მოსაკრებლის გადამხდელები არიან ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომლებიც თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე წარმოქმნიან ნარჩენებს;

- მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 2 ლარს თვეში, ხოლო იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის - 20 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვრება 4 სულით;
- ნარჩენების წარმომქმნელმა შეიძლება მოახდინოს მოსაკრებლის დიფერენცირება დაგროვებული ნარჩენების წონის, მოცულობის ან/და ნარჩენების დაგროვების ნორმის, ნარჩენების სახეობის მიხედვით, აგრეთვე თავისი შემოსავლის, ქონების, მის მიერ დასაქმებული პერსონალის რაოდენობის ან/და საქონლის (მომსახურების) მომხმარებელთა რაოდენობის მიხედვით. მოსაკრებლის ოდენობის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ სიდიდეების კომბინაციებიც;
- ფიზიკური პირებისათვის მოსაკრებლის ოდენობა დიფერენცირებული უნდა იყოს სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სიღატაკის ზღვრის მაჩვენებლების შესაბამისად;
- მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მომსახურების ორგანიზებისა და ადმინისტრირებისათვის საჭირო ხარჯებს.

სენაკის მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებას და გადახდას არეგულირებს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 აპრილის №21 დადგენილება „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლის მიხედვით სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური პირებისათვის სამშენებლო ნარჩენები - 1მ³ ნარჩენებზე თვეში ფიზიკური პირისათვის შეადგენს 0.50 ლარს, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 70000-მდე ქულის მქონე ოჯახებისთვის ერთ სულ მოსახლეზე 0,30 ლარს თვეში.

საწარმოებიდან გადასახადის ამოღება ხდება ნარჩენის წარმოქმნის ფაქტორების მიხედვით. №21 დადგენილების დანართ 2-ში განსაზღვრულია დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთები იურიდიული პირებისათვის. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების მიწოდება ხდება მუნიციპალიტეტში არსებული კომერციული და სხვა დაწესებულებების 80%-ათვის.

2021 წელს ზემოთ აღნიშნული საწარმოებიდან, რომლებისთვისაც ნარჩენების შეგროვების სერვისის მიწოდება ხდება, ამოღებულ იქნა 56919 ლარის ოდენობით თანხა, ნარჩენის გატანის გადასახადის სახით.

მოსახლეობიდან ნარჩენების მომსახურების ამოღების სისტემის დასანერგად მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს ამ ეტაპზე, შესაბამისად, მოსახლეობიდან ნარჩენების შეგროვებისა და გატანის გადასახადის ამოღება არ ხდება. სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ განიხილება გადასახადის ამოღების რამოდენიმე ვარიანტი, მათ შორის გადასახადის მიბმა ელექტრონერგის ხარჯთან, რაზედაც არის მოლაპარაკება ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-სთან. ასევე, მუშავდება მექანიზმი 2023 წლიდან გარემოს დაბინძურებისათვის ადმინისტრაციული ზომების შესახებ.

5.2. ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები

2021 წელს ნარჩენების მართვაზე ბიუჯეტის ხარჯვითმა ნაწილმა შეადგინა 484 900 ათ. ლარი, რაც შეადგენს მთლიანი ბიუჯეტის 2.2%-ს. 2022 წელს დასუფთავების მომსახურეობაზე გაწეული ხარჯი შეადგენდა - 748 100 ლარს, სადაც შედის ყველა ხარჯი: მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, ტრანსპორტის შენახვა, კაპიტალური რემონტი და საწვავის შეძენა.

2023 წელს დასუფთავების მომსახურეობის ბიუჯეტი გაზრდილია 67%-ით და შეადგენს 1 249 000 ლარს, სადაც 200 000 გათვალისწინებულია შრომის ანაზღაურებაზე (დაემატა 15 თანამშრომელი), ტრანსპორტის ხარჯი - 570 000, რემონტის ხარჯი-35 000 ლარი, საწვავის ხარჯი- 216 400 ლარი. იგეგმება 2 ნაგავშიდის და 2 სატვირთო მანქანის შეძენა.

	2021 წელი ათ.ლარი	2022 წელი ათ.ლარი
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	21835700	15896200
ნარჩენების მართვის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	484900	748100

როგორც ვხედავთ, ადგილი აქვს ნარჩენების მართვის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდას.

ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების პროცესში ჯამში ჩართულია 29 ადამიანი, 4 მძღოლი და 19 მუშა, რომელიც ნარჩენების შეგროვებას ახორციელებს და მერიის თანამშრომლები ახორციელებენ მონიტორინგს ნარჩენების შეგროვება-გატანის ხარისხზე, შესრულებულ სამუშაოს მოცულობაზე და ფინანსურ ანგარიშსწორებაზე.

5.3- ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი და რეკომენდაციები

სენაკის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან არსებული მდგომარეობისა და ნარჩენების მართვის სისტემების ევროპული მაგალითების საფუძველზე შეიძლება მოვახდინოთ ნარჩენების მართვის სამომავლო ვარიანტების ანალიზი.

სენაკის მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მარშრუტის ეფექტიანი და ეკონომიური დაგეგმვა. ნარჩენების შეგროვების მარშრუტის სქემაზე მუშაობისას უნდა მოხდეს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- შეგროვების მიზნით მანქანის მიერ გავლილი მანძილის შემცირება და შეგროვებული ნარჩენების მასის ზრდა;
- მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბანში მოძრაობის ინტენსივობა დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში;
- ნარჩენების უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის გზებსა და ხიდებზე მოძრავი მანქანების წონის შეზღუდვა.
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების სისტემის დანერგვა.

- სწორი სატარიფო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა მუნიციპალიტეტის ფარგლებში. მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სამართლიანი მოსაკრებლის გამოთვლა ცენტრალური ხელისუფლების მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით და ასევე, მოსაკრებლის ამოღების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

ნარჩენების განთავსება


დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე სენაკის მუნიციპალიტეტი ვალდებულია ნარჩენების ზუგდიდის ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებაზე, ხოლო ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსებას და მყარი საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელის მართვას უკვე შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ზუგდიდის ნაგავსაყრელი“ ახორციელებს.

2022 წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს გააჩნია ნარჩენების შემკრები თუნუქის ურნების საკმარისი რაოდენობა 800 ერთეული, მათ შორის 650 ერთეული კარგ მდგომარეობაში. თუმცა ურნების ხმარებიდან გამოსვლის შემთხვევაში საჭიროა ყოველწლიურად 100 ურნის დამატება. დასამატებელი ურნების რაოდენობა წლების მიხედვით (მოცულობა 1,163):

პერიოდი	2023	2024	2025	2026	2027
საზომი ერთი (ცალი)	100	100	100		100

5.4 აღდგენის პროცესები

ვინაიდან საქართველოში ნარჩენების აღდგენის პროცესების განხორციელების პრაქტიკული გამოცდილება ძალიან მწირია, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე განისაზღვროს მომავალი ვარიანტები. ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებულია ნარჩენების მართვის იერარქია, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ნაგავსაყრელებზე ნარჩენების განთავსების შემცირება და უპირველესად ორიენტირებულია რესურსების ხელმეორედ გამოყენებაზე. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს შემდეგ ძირითად ფაქტორებს:



5.5 აღდგენის პროგრამების განხორციელების პროცედურები

- ქაღალდის, პლასტიკის, მინისა და რეზინის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების მიზნით 2023-2027 წლებში წლიური მინიმალური მაჩვენებლების განსაზღვრა;
- საჯარო სკოლებში და სკლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ქაღალდის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის პილოტური პროექტის განხორციელება 2024 წლიდან;
- საჯარო დაწესებულებებში ქაღალდის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის პილოტური პროექტის განხორციელება 2024 წლიდან;
- ნარჩენების წყაროსთან სეპარირებული შეგროვების საპილოტე პროექტის განხორციელებისათვის საჭირო იქნება 0,2 მ³ მოცულობის 50 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი 2024 წელს;
- კომპოსტირების პილოტური პროგრამის განხორციელება 2025 წლიდან.

5.6 საზოგადოების განათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა

ნარჩენების მართვის სისტემის განვითარების დროს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საზოგადოების ჩართულობა სისტემის მუშაობაში. მნიშვნელოვანია საკითხში დაინტერესებული მხარეების (საზოგადოების) მონაწილეობა, როგორც ნარჩენების მართვის სისტემის განვითარების დაგეგმვის პროცესში, ისე მუშაობის პროცესში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური კამპანიის წარმართვა, რომელიც გულისხმობს როგორც ცნობიერების ამაღლებას როგორც დასუფთავების განყოფილების თანამშრომლებისათვის, ასევე საზოგადოების ფართო ფენებისათვის. დასუფთავების კამპანიებში საჯარო სექტორისა და მოსახლეობის ჩართვა, საჯარო შეხვედრების, ერთობლივი აქციების და ლექცია-სემინარების ჩატარება, ასევე საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ინფორმაციის მიწოდება აქტიურად გამოიყენება ნარჩენების მართვის ინდუსტრიაში და მას საკმაოდ მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს.

ნაწილი მეექვსე- ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი და რეკომენდაციები

6.1. შეგროვება და ტრანსპორტირება

ა. ნარჩენების შეგროვება

სენაკის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სერვისის დაფარვის არეალის გაზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მეთოდზე. „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულია მოსახლეობისაგან ნარჩენების შეგროვების ოთხი ძირითადი მიდგომა:

- ✓ **კოლექტიური შეგროვება** - ამ მიდგომის გამოყენების დროს ხდება საზოგადოებრივი ადგილების გამოყოფა, სადაც ხდება ერთი ან რამდენიმე კონტეინერის განთავსება, რომელიც ემსახურება მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას;
- ✓ **ნარჩენების ტროტურებიდან/გზისპირებიდან შეგროვება** - ამ მიდგომის გამოყენებისას, ნარჩენების წარმომქმნელები ინდივიდუალურ კონტეინერებს ათავსებენ გზის პირზე და ნარჩენების შეგროვების დასრულების შემდეგ მიაქვთ საკუთარი კონტეინერები;

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით (ქალაქი, სოფელი) შესაძლებელია შერჩეული იქნას ნარჩენების შეგროვების განსხვავებული მეთოდები ან გამოყენებული იქნას ზემოთ აღნიშნული მეთოდების კომბინაცია.

ბ. ტრანსპორტირება

შეგროვების მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის გამოსაყებელ ტექნიკაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეგროვებული ნარჩენების დამუშავების ან/და განთავსების ობიექტზე ტრანსპორტირების ეფექტური პროცესის განხორციელება. ნაგავმზიდი შეიძლება იქნას შერჩეული საპრესი მოწყობილობით აღჭურვილი ან მოწყობილობის გარეშე.

საპრესი მოწყობილობის არმქონე ნაგავმზიდები - ამ ტექნიკის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ადვილად ადაპტირებადია არსებულ ვითარებასთან და უფრო მეტად ხელმისაწვდომია. ასეთი ტექნიკის რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას განსაკუთრებული სპეციალიზაცია არ ესაჭიროება და არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს ექსპლოატაციის პროცესში.

საპრესი მოწყობილობის მქონე ნაგავმზიდები - თუ არსებობს ასეთი ნაგავმზიდების შექმნისა და მომსახურების შესაძლებლობები, მიზანშეწონილია ასეთი ტექნიკის აქტიური გამოყენება ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების პროცესში. ასეთი ტექნიკა თავსებადია სტანდარტულ კონტეინერებთან, მინიმალურია გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის რისკი.

ძირითადი ასპექტები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნარჩენების შეგროვების ხელმისაწვდომი სისტემის ჩამოყალიბებაზე შემდეგია:

1. **ნარჩენების წარმოქმნის სიჩქარე** - საქართველოში ნარჩენების წარმოქმნის საშუალო სიჩქარე დღეში მერყეობს 0,3 კილოგრამიდან 0,5 კილოგრამამდე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. ამ პარამეტრის გათვალისწინებით შესაძლებელია განისაზღვროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მთლიანი მოცულობა, ასევე, შესაძლებელია

ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ან/და სოფლებში შესაგროვებელი ნარჩენების მოცულობის დადგენა;

2. **ნარჩენების სიმკვრივე** - საქართველო მსგავსი ქვეყნების უმეტესობაში, ნარჩენების მაღალი სიმკვრივით გამოირჩევა - ერთი კუბური მეტრი ნარჩენი საშუალოდ 300-500 კილოგრამს იწონის;
3. **სატრანსპორტო პირობები** - გზების მდგომარეობა, მოძრაობის ინტენსივობა და განთავსების ადგილამდე მისასვლელი გზის მანძილი.

სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, მოსახლეობის სიმჭიდროვის, რელიეფის, საავტომობილო გზების მდგომარეობისა და მოძრაობის ინტენსივობის განსხვავებული პირობების გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოყენებული იქნას შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის სხვადასხვა ტექნიკა. შესაბამისად, ტექნიკის შერჩევის დროს გასათვალისწინებელ საკითხებს წარმოადგენს:

1. მომსახურების სავარაუდო დონე (სიხშირე და ა.შ.);
2. ნარჩენების შეგროვების პროცესში გამოსაყენებელი ადამიანური რესურსები (შრომითი დანახარჯები და სხვა);
3. ნარჩენების შეგროვების მარშრუტების მახასიათებლები;
4. ბიუჯეტის შესაძლებლობები.

ასევე, მნიშვნელოვანია შეგროვების მეთოდისა და ტრანსპორტირების პროცესში გამოყენებული ტექნიკის განსაზღვრის შემდეგ, სერვისის მიწოდება განხორციელდეს შემუშავებული მარშრუტებისა და შედგენილი გრაფიკების მკაცრი დაცვით.

6.2. ნარჩენების განთავსება

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ მე-6 მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, „ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა. ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მოწყობა და მართვა, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ეს უფლებამოსილება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაეცეს მესამე პირს“. ნარჩენების განთავსება ხდება ზუგდიდის ნაგავსაყრელზე.

ა. რეციკლირება

სამწუხაროდ, საქართველოში რეციკლირებადი მასალების აღდგენის პროგრამები არ არის ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებული და შესაბამისი ბაზრების არ არსებობა იწვევს მნიშვნელოვანი რესურსის კარგვას. სენაკის მუნიციპალიტეტში სეპარირება-რეციკლირებას კომერციული სექტორიდან ახორციელებს ი/მ „ირაკლი ტყებუჩავა“. სეპარირების დაწყება დაგეგმილია 2024 წლისათვის.

ბ. კომპოსტირება

ნარჩენების მართვის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია წარმოქმნილი ნარჩენების შემადგენლობაში ორგანული მასების შემცირება და შესაბამისად ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება. ამ მიზნის მიღწევის ერთ-

ერთი ეფექტური საშუალებაა კომპოსტირების მეთოდის დანერგვა. კომპოსტირების მეთოდის სარგებლიანობაზე დაწყებული გვაქვს ძირითადად სოფლის მოსახლეობის ინფორმირება და კონკრეტული ღონისძიებების/მეთოდების შესახებ საინფორმაციო მასალების გავრცელება.

6.3 სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება

მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის დაფინანსება ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხია. დღეს არსებული პრაქტიკით, ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებების დაფინანსება მთლიანად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორცილდება, ხოლო კაპიტალური და საინვესტიციო ხარჯების გაწევა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებით ან/და დონორი ორგანიზაციების მეშვეობით მიღებული გრანტებისა და სესხების საშუალებით.

პერსპექტივაში სისტემის საოპერაციო/საექსპლოატაციო ხარჯების დაფინანსება უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის პრინციპის - „**დამზინებელი იხდის**“ - შესაბამისად, დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების მეშვეობით მიღებული სახსრებით.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს მოსაკრებლის სტრუქტურას და ოდენობას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, თუმცა ტარიფების დადგენის მეთოდოლოგია არ არის განსაზღვრული.

აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს დასუფთავების მოსაკრებლის დასაბუთებული სატარიფო სისტემა საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- ✓ მოსახლეობისათვის დასუფთავების მოსაკრებლის დასაბუთებული ტარიფის გაანგარიშება (შესაბამისი მეთოდოლოგიის შერჩევა/შემუშავება);
- ✓ კერძო სექტორისათვის დასუფთავების მოსაკრებლის ტარიფის გაანგარიშება (შესაბამისი მეთოდოლოგიის შერჩევა/შემუშავება);
- ✓ საზოგადოების მონაწილეობა მოსაკრებლის ტარიფის დადგენის პროცესში;
- ✓ დასუფთავების მოსაკრებლის ე.წ. „ბილინგის“ სისტემის შემუშავება და დანერგვა.

6.4. ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის საჭიროებები

ნარჩენების მართვის ინდუსტრიაში არსებული გამოცდილება აჩვენებს, რომ ნარჩენების შეგროვება-გატანის პროცესი სისტემის ყველაზე ძვირადღირებული ნაწილია. შესაბამისად, შეგროვება-გატანის სისტემის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნარჩენების მართვის საერთო ხარჯების ოპტიმიზაციაზე.

ნარჩენების მართვის არსებული სისტემის ანალიზმა აჩვენა, რომ აუცილებელია სისტემაში არსებული პრობლემური საკითხების პირველ რიგში გადაწყვეტა:

- დღეს არსებული ვითარებით, „ცენტრს“ არ გააჩნია ერთიანი სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება ტექნიკის განთავსება და მოვლა-შენახვისათვის პირობების შექმნა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოძიებული იქნა შესაბამისი ტერიტორია და შესამუშავებელია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც გაითვალისწინებს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის სადგომების, ავტოსამრეცხავს,

ავტოსახელოსნო ფართის, სათადარიგო ნაწილებისათვის და სხვა ინვენტარის განთავსებისათვის სასაწყობე ფართის მოწყობას.

- ნარჩენების შეგროვებისათვის ნაგავმზიდების რელიეფისა და საავტომობილო გზის მდგომარეობის გათვალისწინებით - ორი ერთეული საპრესი მოწყობილობის მქონე 9 მ³ მოცულობის ნაგავმზიდის შეძენა;
- 2 ერთეული სატვირთო მანქანის შეძენა;
- მუშახელის დამატება (მეეზოვეებისა და ნაგავმზიდების მომსახურე პერსონალი);
- სეპარირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა: საპრესი მოწყობილობისა და 50 ერთეული ურნის შეძენა.

ნაწილი მეშვიდე - ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

„ცენტრის“ სტრუქტურაში მიზანშეწონილი იქნება, არსებული სტრუქტურის შესაძლებლობათა გაძლიერება, რაც გულისხმობს:

- დასუფთავების განყოფილებიდან მოსაკრებლის ადმინისტრირების ფუნქციის გამოცალკევებას და ამ ფუნქციის შესასრულებლად ცალკე სტრუქტურული ერთეულის (განყოფილების) შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მოსაკრებლის ადმინისტრირებაზე (ე.წ. „ბილინგის“ განყოფილება);
- მონიტორინგის განყოფილების გაძლიერებას, რომლის ფუნქცია უნდა განისაზღვროს როგორც გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი (ხარისხის კოტროლი და ა.შ.), „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირება და ტერიტორიის დაბინძურების შემთხვევაში შესაბამისი ზომების (ინსპექტირება, კანონდამრღვევის გამოვლენა-დაჯარიმება და სხვა სახეების გამოყენება) მიღება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური კამპანიის წარმოებისათვის, მოსახლეობის მუდმივი ინფორმირებულობის მიზნით შესაბამისი პასუხისმგებელი პირის გამოყოფა.

7.1. საზოგადოებრივი განათლების პროგრამა

- სტიქიური ნაგავსაყრელების გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის შემცირების მიზნით საინფორმაციო კამპანიის მუდმივ რეჟიმში წარმართვა, გამოყენებული იქნება ადგილობრივი მედია საშუალებები;
- საზოგადოების ჩართულობით ყოველთვიურად დასუფთავების აქციების ორგანიზება, ყოველწლიურად წინასწარ შემუშავებული გეგმით ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით;
- ნარჩენების წყაროსთან სეპარირების უზრუნველყოფის მიზნით, საწყის ეტაპზე საზოგადოების მომზადება - ინფორმირება;
- დასუფთავების მოსაკრებლის ტარიფის შემუშავების პროცესში საზოგადოების ჩართულობა.

7.2 შედეგების და რეკომენდაციების მიმოხილვა

სენაკის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის არსებული სისტემის ანალიზმა აჩვენა, რომ სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევებს უმკლავდება, მაგრამ არსებული პრობლემების

აღმოსაფხვრელად საჭიროა სამომავლოდ დაიგეგმოს და განხორციელდეს გაუმჯობესების ღონისძიებები.

ძირითადი ასპექტები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, შემდეგი სახისაა:

- აუცილებელია არსებული სისტემის დაფარვის არეალის გაფართოების დაგეგმვა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რათა მიღწეული იქნას **ნმესგ**-ით განსაზღვრული მიზნები;
- შეგროვებული და ტრანსპორტირებული ნარჩენების სახეობებისა და მახასიათებლების შესახებ მონაცემთა აღრიცხვის მუდმივი განხორციელება. ამით უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის დანერგვის დაგეგმვისათვის საინფორმაციო საფუძველი;
- შესაგროვებელი ნარჩენების მოცულობების წინასწარი განსაზღვრა. ეს პარამეტრი მნიშველოვან ზეგავლენას ახდენს ნაგავშემკრები კონტეინერებისა და ტრანსპორტირების პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკის განსაზღვრის დროს;
- შემუშავებულია და აუცილებელია დაინერგოს ნაგავშიდების მოძრაობის ოპტიმალური განრიგები და მარშრუტები, რათა ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების პროცესი წარმართოს მინიმალური დანახარჯებით;
- დასაბუთებული და სათანადო მეთოდოლოგიის საფუძველზე გაანგარიშებული დასუფთავების მოსაკრებლის ტარიფის განსაზღვრა, ხარჯების ამოღების სისტემის, მოსაკრებლით მიღებული შემოსავლების გაზრდის მიზნით;
- მონიტორინგის განხორციელება მუნიციპალური და სამშენებლო ნარჩენების არამიზნობრივად განთავსებაზე და საჯარიმო მექანიზმების ამოქმედება;
- აუცილებელი ტექნიკით აღჭურვა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზუნველყოფა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება;
- შემუშავებულ და დანერგილ იქნეს ადმინისტრაციული ზომების გამოყენების მექანიზმი მოსახლეობის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების გამო (ქუჩაში,ღელეებსა და ხევებში);
- დასუფთავების განყოფილების თანამშრომლებისა და მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების წარმართვა ნარჩენების მართვაზე.

სამოქმედო გეგმა და განხორციელების ვადები

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
მიზანი - 3.ნარჩენების შეგროვების და	• ინფორმაციის არ არსებობა მუნიციპალიტეტის ტერიტორია	• მუნიციპალიტეტში ნარჩენების აღრიცხვაზე და შესაბამისი	• ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილ	მონაცემთა ელექტონული ბაზა მუნიციპალიტეტის	2023 წლის 31 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი	საქართველოს გარემოსდაცვითი ბუნებრივი		

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
ტრანსპორტირების სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა	აზერჯანენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით (არ არის ინფორმაცია სახიფათო, სამედიცინო და სხვა ტიპის ნარჩენების შესახებ).	<p>ბაზის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა;</p> <ul style="list-style-type: none"> მუნიციპალური ნარჩენების შემგროვებელი კომპანიის კონტრაქტში ყოველ ერთეულ შემთხვევაში გატანილი ნარჩენების აღრიცხვისა და მუნიციპალიტეტში ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირისათვის ამ მონაცემების ყოველთვიურად მიწოდების ვალდებულების ჩადება; მონაცემთა ელექტრონული ბაზის შემუშავება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით. რუკების საფუძველზე მარშრუტების ოპტიმიზაციაზე მუშაობის შესაბამის 	<p>ი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით ხელმისაწვდომი</p> <ul style="list-style-type: none"> მონაცემთა ელექტრონული ბაზის შემუშავება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით. 	ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით.			ვირესურსების დაცვის სამინისტრო / აქტივობის კოორდინირების მიზნით		

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
		სექტორულ ექსპერტებთან ერთად (2023 წლის მარტიდან							
ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (საკმარისი რაოდენობის კონტეინერები, ნარჩენების გატანის საკმარისი სიხშირე) მიწოდება მოსახლეობისათვის და მუნიციპალიტეტში არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.	<ul style="list-style-type: none"> არასაკმარისი მომსახურების მიწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის; სათადარიგო ნაწილების მოპოვების სირთულე; მანქანების /დანადგარების მოვლის/გარემონტების სირთულე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების 60% არ მიეწოდება ნარჩენებისა და გატანის მომსახურება 	<ul style="list-style-type: none"> ავტოპარკის შემავალი ავტოტრანსპორტის მდგომარეობის ამსახველი ბაზის შექმნა /განახლება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების 40%-ისათვის ნარჩენებისა და გატანის მომსახურების მიწოდება; 	ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურების მიწოდება როგორც მოსახლეობისათვის, ისე საწარმოებისათვის	ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა: მუნიციპალური ნარჩენები 100% 2024 წლისთვის;	2023 წლის 31 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი	საქართველოს რეგიონური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	15,000	ადგილობრივი ბიუჯეტი
ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების	ნაგავსაყრელზე განთავსებულ ნარჩენში ორგანული ნარჩენის დიდი რაოდენობა (20.7%)	<ul style="list-style-type: none"> კომპოსტირების საკითხებზე ტრენინგების ჩატარება მუნიციპალიტეტის მერის რწმუნებულებთან 	<ul style="list-style-type: none"> ნაგავსაყრელზე განთავსებულ ნარჩენში ორგანული ნარჩენის დიდი რაოდენობა შემცირება 	მუნიციპალიტეტის მასშტაბით 20 ფერმერს მოწყობილი აქვს საკომპოსტე უბანი თავის	2024 წელი	თვითმართვლი სენაკის მუნიციპალიტეტი	არასამთავრობო ორგანიზაციები	1,000 2,000	საერთაშორისო დონორები ადგილობრივი გარემოსდაცვითი ორგანიზაცია

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური წარჩენების მართვის გეგმა

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტინიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
ბის განთავსების შემცირების ხელშეწყობის საქმიანობების განხორციელება (კომპოსტირების პრაქტიკის ფართო დანერგვა);		<p>ადმინისტრაციულ ერთეულებში (სულ მცირე 8 ტრენინგი) (2025 წლის დეკემბრის ბოლომდე);</p> <ul style="list-style-type: none"> სადემონსტრაციო საკომპოსტე ადგილების მოწყობა სასწავლო დაწესებულებების და/ან აქტიური ფერმერების ტერიტორიებზე (2024წელი); სათემო საკომპოსტე უბნის მოწყობა იმ სოფლებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტ ინტერეს გამოიჩინენ ინიციატივს მიმართ (ექსპერტის ჩართულობით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადგილზე ორგანული მასის საკმარისი რაოდენობა) 	<p>ულია 5%-ით.</p>	<p>ფერმაში;</p> <p>სათემო საკომპოსტე უბნის მოწყობილია და ფუნქციონირებს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მასში გაერთიანებულია დაახლოებით 100 ფერმერი</p>	<p>2025 წელი</p> <p>2024 წელი</p>				ციები
ქაღალდის, და პლასტიკის წარმოქმნის წყაროს	მუნიციპალიტეტში ნარჩენების წყაროსთან სეპარაციის არსებული პრაქტიკის	<ul style="list-style-type: none"> იმ კომანიებთან დაკავშირება და თანამშრომლობის 	მუნიციპალიტეტში დანერგვით და ფუნქციონირებს ნარჩენების წყაროსთან	ქაღალდის, და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალუ	2018 წელი	სენაკის მუნიცი	საქართველოს გარემოსდაცვითი ბუნებრივი	200,000 ლარი	დონორები

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური წარჩენების მართვის გეგმა

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტინორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
თანსეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2024 წლისთვის;	განახლება	<p>აწყობა, რომლებიც წარჩენების შეგროვებას და/ან გადამუშავებას ახდენენ ქვეყნის მასშტაბით (2023 წლის ივნისის თვე);</p> <ul style="list-style-type: none"> წარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვა (სველი-მშრალი) 300 ერთული ლიტრიანი ურნის დამატება მსხვილადმინისტრაციულ ერთეულებში 2024 წლისათვის წარჩენების სეპარირებული შეგროვების პროცესის წახალისება და მონიტორინგი (2025-2026 წლები); 	სეპარაციის პრაქტიკა.	<p>ერი ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა:</p> <ul style="list-style-type: none"> ქალაქში 30% 2024 წლისთვის; პლასტიკში 30% 2020 წლისთვის; 	<p>2019 წელი</p> <p>2024-2026 წლები</p>	<p>იპალიტეტი</p>	<p>რესურსების დაცვის სამინისტრო</p> <p>არასამთავრობო ორგანიზაციები</p> <p>დონორები</p>		

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური წარჩენების მართვის გეგმა

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
სენაკის მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის დახვეწა 2023 წლისთვის;	<ul style="list-style-type: none"> ინფორმაციის არქონა დინამიკაში იმის შესახებ, თუ რა ჯდება ნარჩენების შეგროვება ერთ სულ მოსახლეზე ან ერთ ტონა ნარჩენზე. შესაბამისად, არადექვატური ტარიფი; მოსახლებისათვის ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების ხარჯების დაფარვა 	<ul style="list-style-type: none"> სწორი სატარიფო პოლიტიკის შემუშავება, ხარჯებისა და ტარიფის სწორი კალკულაცია (2023 წლის მაისში); მოსახლებიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება შპს „ენერგოპროსთან“ მოლაპარაკებების წარმოება ტარიფის ადმინისტრირების კუთხით (2023 წლის ივნისი); ამოღების პროცესის დაწყება და მონიტორინგი (2023 წელი) 	ეფექტიანი მომსახურების მიწოდება მოსახლეობისათვის.	მუნიციპალიტეტებში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2023 წლისთვის;	2023 წელი ~ 2023 წელი	სენაკის მუნიციპალიტეტი	საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროები არასამთავრობო ორგანიზაციები დონორები WMTR	5,000 ლარი	ადგილობრივი ბიუჯეტი
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კერძო სექტორი	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების 60% არ 	<ul style="list-style-type: none"> სწორი სატარიფო პოლიტიკის შემუშავება, ხარჯებისა და ტარიფის სწორი კალკულაცია 	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების 100% მიეწოდება 	კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის	2020 წელი	სენაკის მუნიციპალიტეტი	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი		ადგილობრივი ბიუჯეტი

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური წარჩენების მართვის გეგმა

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
დან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2020 წლისთვის;	მიეწოდება ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება.	ა; • კერძო სექტორიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების ბილინგის სისტემის შემუშავება.	ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურება.	შემუშავება 2020 წლისთვის				რესურსების დაცვის სამინისტრო	
ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება, საჯარიმო სანქციების სისტემის აქტიური ამუშავება	• მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემთხვევები	• ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, დაჯარიმების სისტემის აქტიური ამოქმედება, საჭიროებისამებრ კონსულტაციების გავლა გარემოსაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან (2023 წელი)	• მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენცია.	მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების შემთხვევების 30% შემცირება 2024 წლისათვის	2023 წელი 2024წელი	ააიპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი			
მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება	• მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა ნარჩენების	• სხვადასხვა სახალისო აქტივობების/კამპანიების განხორციელება	• მუნიციპალიტეტში არ არსებობს ნარჩენების განთავსების არალეგალი	ნარჩენების შეგროვებისა და რეციკლირების მინიმალური	2024 წელი	თვითმართვლილი თემი სენაკის მუნიცი	არასამთავრობო ორგანიზაციები		საერთაშორისო დონორები

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური წარჩენების მართვის გეგმა

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტინორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
წარჩენების მართვის საკითხებზე;	ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შესახებ; <ul style="list-style-type: none"> წარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების საფასურის გადახდის დაბალი მაჩვენებელი. 	საბავშვო ბაღებსა და სკოლებში საკითხის აქტუალიზაციის მიზნით (განსაკუთრებით იმ სოფლებში, სადაც წარჩენების სეპარირებული შეგროვება დაიწყება) მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ. <ul style="list-style-type: none"> იმ პროექტებთან და პროგრამებთან აქტიური თანამშრომლობა, რომლებიც რეგონში მუშაობენ გარემოსდაცვის საკითხებზე და მათთან თანამშრომლობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით 	ური ადგილები; <ul style="list-style-type: none"> მოსახლეობის 30% იხდის მომსახურების გადასახადს. 	ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა (იხ. ზემოთ)		იპალიტეტი	დონორები		
მუნიციპალიტეტის თანამშრომლების უნარ-შესაძლებლობების გაძლიერება	წარჩენების შეგროვებისა და გატანის არაეფექტიანობის მომსახურების მიწოდება.	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე დასწრების 	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და აქარსებული საწარმოებისათვის ეფექტიანი	წარჩენების შეგროვებისა და რეციკლირების მინიმალური ეროვნული	2024 წელი	თვითმართვლი თემი	საქართველოს გარემოსდაცვითი რესურსების	5,000	

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური წარჩენების მართვის გეგმა

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო	
ბა წარჩენების მართვის ეფექტიანობის სისტემის დანერგვის კუთხით.		<p>წახალისება და უზრუნველყოფა (ამ მიზნით არსებული პროგრამების მოძიება (შესაბამისი ნუსხის გაკეთება) და მათთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა);</p> <ul style="list-style-type: none"> სულ მცირე 3 კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე თანამშრომლების დასწრების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის მიერ (შესაბამისი შესაძლებლობების მოძიება მუნიციპალიტეტის კადრების განყოფილებების მიერ). 	მომსახურების მიწოდება.	მაჩვენებლების მიღწევა (იხ. ზემოთ)		იპალიტეტი	დაცვის სამინისტრო		არასამთავრობო ორგანიზაციები	დონორები

დანართები:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება „მუნიციპალური წარჩენების მართვის გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“
2. იურიდიული პირების სია
3. ნაგავმზიდის გადაადგილების რუკის შექმნის და გამოყენების ინსტრუქცია
4. არსებული კონტეინერები რაოდენობა
- 4-1. ახალი კონტეინერების რაოდენობა და განთავსების კოორდინატორები

დანართი №2 - „სამუშაო ჯგუფის დეტალური სამუშაო გეგმა“

№	ლონისძიება	დაწყების და დასრულების ვადა
1	2	3
პირველი ეტაპი	მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმით აღებული ვალდებულებების შესრულების განხილვა და შესასრულებელი ღონისძიებების დაგეგმვა	28.10.2022- 25.12.2022
პირველი ეტაპი	<ul style="list-style-type: none"> ✓ ინფორმაციის მოპოვება სენაკის მუნიციპალიტეტში 2018-2022 წლების განმავლობაში მოსახლეობის მიგრაციის (შემოსვლა-გასვლა) შესახებ ✓ დადგინდეს, საზაფხულო ტურისტულ სეზონზე შემოსული ტურისტების რაოდენობა, გასაქირავებელი საწოლების მიხედვით (სასტუმროები, დასასვენებელი სახლები, სააგარაკო სახლები); ✓ დადგინდეს სენაკი-ფოთი-სარფის მოქმედ საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე (სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე), სატრანზიტო მსხვილგაბარტიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჯგუფურად დაყოვნების ადგილებში მათი რიცხვი და ამ ადგილებში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა; ✓ დაზუსტდეს, ქუჩების, გზატკეცილების დასუფთავების არეალი და ფართი; ✓ დადგინდეს, სენაკის მუნიციპალიტეტში ტრანსპორტირებას დაქვემდებარებული ნარჩენების წონა (საყოფაცხოვრებო, კომერციული და სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ნარჩენები); ✓ მოძიებულ იქნას სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების გეგმა, რათა შემდეგ შესაძლებელი გახდეს არსებულ გეგმასთან მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შესაბამისობაში მოყვანა; ✓ დადგინდეს, ნარჩენების მსხვილი წარმომქმნელები, რომლებიც შეიძლება ეწეოდნენ ან არ ეწეოდნენ ნარჩენების მართვის დამოუკიდებელ მომსახურებებს, ნარჩენების შეგროვების მუნიციპალური პროგრამის ფარგლებს გარეთ; ✓ მუნიციპალური ნარჩენების ნაკადებში (უახლოესი ხუთი წლის პერიოდისთვის-მიახლოებით 	

	<p>პროგნოზირება) დადგინდეს აღდგენადი მასალების მასა და შემცველობა (რეციკლირებადი მასალები და ორგანული მასა):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ორგანული ნივთიერებები ○ ქაღალდის ○ მუყაოს ○ პლასტიკის ○ მინის ○ ლითონის 	
<p>პირველი ეტაპი</p>	<p>საყოფაცხოვრებონარჩენებისშეგროვება/ტრანსპორტირება:</p>	
	<p>ინფორმაცია მოსახლეობიდან:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ნარჩენის შეგროვების პერიოდულობაზე; ✓ ნაგვის ურნების ირგვლივ არსებულ მდგომარეობაზე; ✓ ნაგვის ურნების დასუფთავების სიხშირეზე; ✓ ნაგვის მოცულობაზე; ✓ ნაგვის გადამზიდავი მანქანების ფიზიკურ მდგომარეობაზე; ✓ ურნების ფიზიკურ მდგომარეობაზე; <p>სხვა წყარო:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ვიზუალური დათვალიერებით მუშა პროცესში სატრანსპორტო და შეგროვების საშუალებების (რაოდენობის, სახეობის და მდგომარეობის მიხედვით) შეფასება; ✓ როგორ ხორციელდება, შეგროვების საშუალებებისა და მანქანა მექანიზმების, მათ შორის სპეც.ტექნიკის მოვლა და ტექნიკური სერვისი; ✓ მოპოვებულ იქნას (დაზუსტდეს) ინფორმაცია, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის სპეციალურ პროექტებზე, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები; ✓ საავადმყოფოებიდან (სამედიცინო დაწესებულებებიდან) ნარჩენების შეგროვების მომსახურებაზე; ✓ დიდ გაბარიტიანი ნარჩენების გატანაზე (დასაზუსტებელია ასეთი ნარჩენების არსებობა და დისლოკაციის ადგილი); ✓ სამშენებლო ნგრევის ნარჩენების გატანაზე (დასაზუსტებელია ვინ არის ამ საქმიანობით დაკავებული და სტიქიურად, როგორ რეგულირდება ეს პროცესი); ✓ ავტოსატრანსპორტო ნარჩენების მართვაზე; 	

პირველი ეტაპი	ნარჩენების აღდგენა:	
	<ul style="list-style-type: none"> ✓ დადგინდეს, მიმდინარეობს თუ არა აღდგენასთან დაკავშირებული რაიმე საქმიანობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და თუ მიმდინარეობს რა სახის და რა მოცულობით; ✓ ხდება თუ არა რეციკლირებადი მასალების არაფორმალური შეგროვება და თუ ხდება რისი შეგროვება ხდება; 	
პირველი ეტაპი	ნარჩენების განთავსება:	
პირველი ეტაპი	ნარჩენების მართვაში ჩართული სტრუქტურები:	
	<ul style="list-style-type: none"> ✓ იქ სადაც არ არსებობს ან შეზღუდულია მომსახურება ნარჩენების შეგროვებაზე, განხორციალდეს ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილების ინვენტარიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დადგინდეს მათი პროფილი და მოსახლეობის მიერ ნარჩენების წარმოქმნის სავარაუდო რაოდენობა ტ/დღ, ტ/კვირაში, ტ/წელიწადში); ✓ დაზუსტდეს, ხდება თუ არა ამ ტერიტორიებზე ნარჩენების დაწვა და ასეთის არსებობის შემთხვევაში, დადგინდეს რა ქიმიური შემადგენლობის ნარჩენების დაწვა ხდება. ✓ მუნიციპალური ნარჩენების მართვის არსებული ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის დადგენა; ✓ უნდა გადაიხედოს ა.(ა).ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის“-წესდება, რათა დადგინდეს რამდენად სრულად და სწორად არის განსაზღვრული მოვალეობები და პასუხისმგებლობები წინა 5 წელში განხორციელებული მომსახურების ხარისხის გათვალისწინებით; ✓ საშტატო ერთეულების მიხედვით თანამშრომელთა რაოდენობა და მათი ყოველდღიური საქმიანობის შეფასება, გაწეული საქმიანობის ეფექტურობა; ✓ შეფასდეს, სისტემის მუდმივი მონიტორინგის შემთხვევაში აღმოიფხვრებოდა თუ არა არსებული პრობლემები და ხარვეზები; ✓ დაზუსტდეს (გადაიხედოს) არის თუ არა მუნიციპალიტეტსა და ნარჩენების სერვის-პროვაიდერს და კონტრაქტორებს შორის დადებული კონტრაქტები (ან ა(ა)იპ-სა და მის კონტრაქტორებს შორის) და ასეთის არსებობის შემთხვევაში შესრულდა თუ არა პირობები. 	

პირველი ეტაპი	შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალი:	
	<ul style="list-style-type: none"> ✓ ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილების ინვენტარიზაცია და მათი პროფილის დადგენის შემდეგ უზრუნველყოფილ იქნას მათი რუკებზე გადატანა; ✓ დადგინდეს, თუ რა დამატებითი ტექნიკური რესურსების მობილიზება არის საჭირო სანდო და ეფექტიანი მომსახურების გაწევსთვის და მომსახურების არეალის გაფართოებისთვის არსებული სერვისის გასაუმჯობესებლად და ახალი ტერიტორიების ათვისების შემთხვევაში; ✓ ნაგავშემკრები კონტეინერების რაოდენობის დადგენა (რომლებიც უნდა განთავსდეს ნარჩენების წარმომქმნელიდან 100 მეტრში); ✓ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცტექნიკის იდენტიფიცირება და რაოდენობის დადგენა. 	
პირველი ეტაპი	ნარჩენების განთავსების არაოფიციალური, არაკონტროლირებადი ადგილების ადგილმდებარეობა და დახასიათება:	
	<ul style="list-style-type: none"> ✓ ნარჩენების განთავსების არაოფიციალური, არაკონტროლირებადი ადგილების იდენტიფიცირებისა და დახასიათების შემდეგ, მომზადდეს სამართლებრივი საფუძველი, იმისთვის რომ ნარჩენების განთავსების ადგილები აღარ იქნას გამოყენებული გაწმენდის (დახურვის) შემდეგ. 	2022 წლის დეკემბრამდე
პირველი ეტაპი	მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად განსაზღვრა:	
	<p>პირდაპირი ხარჯი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შეგროვებისათვის; ✓ ტრანსპორტირებისათვის; ✓ ნარჩენების განთავსებისათვის. <p>არაპირდაპირი ხარჯი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ხარჯი შეგროვებული ნარჩენების ოდენობის მიხედვით (ლარი/ტონა); ✓ ხარჯი საოჯახო მეურნეობის მიხედვით, რომელსაც მიეწოდება მომსახურება (ლარი/საოჯ.მეურნეობა); ✓ ხარჯი იმ პირების მიხედვით, რომლებსაც მიეწოდება მომსახურება (ლარი/პირი); ✓ ყველა ეს მონაცემი უნდა დაზუსტდეს 2023-2025 წლების მიხედვით; ✓ დადგინდეს დამატებითი ფინანსური რესურსების საჭიროება (პირდაპირი და არა პირდაპირი) 	

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

	<p>მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შედეგების მისაღწევად და ოპერირების სათანადო დონეზე შესანარჩუნებლად;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ დადგინდეს არსებულ ხარჯებს და იმ ხარჯებს შორის სხვაობა, რომლებიც აუცილებელია მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად. 	
პირველი ეტაპი	<p>საოპერაციო და სისტემის განვითარებისთვის საჭირო რესურსების მოზიდვის არსებული საშუალებების შეფასება, სტანდარტული ბიუჯეტებისა და ხარჯების ამოღების პროცესების ჩათვლით:</p>	
	<ul style="list-style-type: none"> ✓ განისაზღვროს და შეფასდეს ის მეთოდები (ქმედებები), თუ როგორ ხდება მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემებთან დაკავშირებული სახსრების მოზიდვა; ✓ აღწერილ იქნას შეგროვებისა და განთავსების დაფინანსების მექანიზმი - მომხმარებელთა გადასახადების, საბიუჯეტო წყაროებისა და სხვა დაფინანსების წყაროების ჩათვლით. ✓ დადგინდეს მოსაკრებლების განაკვეთები (ერთეულის მიხედვით/მომხმარებლების გადასახადები) და მათი ამოღების მაჩვენებლები ყველა სახის ნარჩენების წარმომქმნელისათვის (საყოფაცხოვრებო, კომერციული და ა.შ.); ✓ აღიწეროს, ნარჩენების მართვის მომსახურების დაფინანსებაში არსებული ძირითადი პრობლემები, როგორცაა: მოსაკრებლების გადაუხდელობა, ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენება სხვა დანიშნულებით და სხვა. 	
პირველი ეტაპი	<p>საზოგადოების ცნობიერების და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხისადმი დამოკიდებულების შეფასება:</p>	
	<ul style="list-style-type: none"> ✓ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმით, უნდა განისაზღვროს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ფართომასშტაბიანი კამპანიების ჩატარება, საზოგადოების გაგებისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლად შესაძლო სატარიფო რეფორმასთან დაკავშირებით. 	
მეორე ეტაპი	<p>არსებული ინსტიტუტების ტექნიკური და მენეჯერული შესაძლებლობების შეფასება ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვისთვის</p>	

<p>ვარიანტების შეფასება და გადაწყვეტილებების მიღება</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ მუნიციპალიტეტმა უნდა ჩაატაროს კრიტიკული თვითშეფასება, რათა დაადგინოს გააჩნია თუ არა მას შესაბამისი ტექნიკური და მენეჯერული შესაძლებლობები, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ამოცანების განხორციელებისა და განახლებული მუნიციპალური სისტემის მართვისათვის. 	
<p>მეორე ეტაპი</p>	<p>ტექნიკური ვარიანტები:</p>	
	<ul style="list-style-type: none"> ✓ შეირჩეს საუკეთესო ვარიანტები (ალტერნატივის გათვალისწინებით) სოფლების და დასახლებებისთვის, სადაც შეგროვების ოფიციალური პროგრამის საშუალებით მოხდება ამ ადგილებში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების საუკეთესო ვარიანტების შერჩევა; ✓ გათვალისწინებული იქნეს ნარჩენების სეპარირებული (დახარისხებულად) შეგროვების პროცესთან დაკავშირებული ხარჯები; ✓ უნდა მოხდეს იმ ღონისძიებების შეფასება, რომლებიც დაგეგმილია ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და მუნიციპალური ნარჩენების აღდგენის პრაქტიკის დანერგვისათვის, ბიოდეგრადირებადი და შესაფუთი ნარჩენების ჩათვლით. 	
<p>მეორე ეტაპი</p>	<p>ინსტიტუციური ვარიანტები:</p>	
	<ul style="list-style-type: none"> ✓ განხორციელდეს (ინსტიტუციური ვარიანტების შეფასების გზით)იმ სტრუქტურის იდენტიფიცირება, რომელიც პასუხისმგებელი უნდა იყოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელებასა და მიზნობრივი შედეგების მიღწევაზე. 	
<p>მეორე ეტაპი</p>	<p>ფინანსური ვარიანტები:</p>	
	<ul style="list-style-type: none"> ✓ გადაიხედოს ტარიფების არსებული სისტემა, მათ შორის, მოსაკრებლის ამოღების საშუალებებთან მიმართებით, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გაუმჯობესებული სისტემის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; ✓ ტარიფების სისტემის რეფორმირების გარდა, მუნიციპალიტეტმა, ასევე, უნდა შეაფასოს ალტერნატიული გზები იმ საშუალებების და ინფრასტრუქტურის დაფინანსებისათვის და შესასყიდად, რომლებიც საჭიროა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შედეგების მისაღწევად. 	
<p>მეორე ეტაპი</p>	<p>ყველა ვარიანტის შეფასებისას, მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს რიგი ფაქტორები, როგორცაა:</p>	
	<ul style="list-style-type: none"> ✓ მუნიციპალური ღონისძიებების და პროცესების 	

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

	<p>პრიორიტეტულობის განსაზღვრა;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ არსებული ან მომავალი სახელმწიფო და რეგიონული პროგრამების ან ინფრასტრუქტურის გამოვლენა, რომლებიც გავლენას მოახდენენ მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სისტემების ვარიანტებზე; ✓ ნარჩენების სამომავლო გენერაციის პროგნოზირება; ✓ საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების ინფორმირების და კონსულტაციების ეფექტური პროცესის განვითარება; ✓ ალტერნატიული გზების განსაზღვრა შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალისა და ეფექტიანობის გაზრდისთვის; ✓ ძირითადი და ოპერაციული დანახარჯების შეფასება ნარჩენების მართვის ალტერნატიული ვარიანტებისათვის, მათი მოქმედების პერიოდში ფინანსური გათვლების ჩათვლით; ✓ სასურველი ვარიანტების და განხორციელების პროცესის შერჩევა; ✓ საინვესტიციო გეგმის შემუშავება ნარჩენების მართვის შერჩეული გაუმჯობესებისათვის; ✓ მუნიციპალიტეტში აღდგენის მაჩვენებლების ზრდის გზების განსაზღვრა. 	
<p>მესამე ეტაპი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების გეგმის შემუშავებისა და დამტკიცებისთვის აუცილებელი მოქმედებები:</p>	<p>25.12.2022</p>
<p>მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და დამტკიცება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. განისაზღვროს, რა ინფორმაცია უნდა იქნეს შეტანილი ნარჩენების მართვის გეგმის წერილობით ანგარიშში; 2. მუნიციპალიტეტის მიერ, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ოფიციალურად დამტკიცება. 	

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია; 1995 წ.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; 2014 წ.

საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“; 2014 წ.

საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“; 1998 წ.

დადგენილებები:

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილება- „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №159 დადგენილება- „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №422 დადგენილება- „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №144 დადგენილება- „ნარჩენების შეგროვების, წინასწარი დამუშავების და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილება- „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილება- „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №631 დადგენილება- „საქართველოს სოფლის განვითარების 2010-2020 წლების სტრატეგიისა და საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;